



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლუაშვილი პაატა პეტრეს ძე



პ. კოლუაშვილი

კოლუაშვილი პაატა პეტრეს ძე (დ. 5. IX. 1956, ქ. ქუთაისი), აგროეკონომისტი. საქართველო. სოფლის მეურნეობის მეცნი. აკად. ნამდვ. წევრი (2015; წ.-კორ. – 2004). ეკონ. მეცნი. დოქტორი (2003). დაამთავრა საქართველო. სას.-სამ. ინ-ტის ეკონომიკისა (1978) და თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტები (2003). 1983–85 იყო საქართველო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის მთ. სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი, 1986–90 – საქართველო. სახელმწ. აგროსამრეწველო კომიტეტის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სამმართველოს მთ. სპეციალისტი, ხოლო შემდეგ – ფერმერულ მეურნეობათა სექტორის უფროსი; 1990–91 – საქართველო. უზენაესი საბჭოს წევრი; 1992 – საქართველო. მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწ.

კომიტეტის თავ-რე; საქართველო. მთავრობის თავ-რის – პრემიერ-მინისტრის მოადგილე აგრ. საკითხებში; 1992–95 – საქართველო. პარლამენტის წევრი; 1996–2003 – საქართველო. სახელმწ. კანცელარიის მთ. სახელმწ. მრჩეველი აგრ. რეფორმის საკითხებში; 2003–09 – საქართველო. სახელმწ. აგრ. უნ-ტის, 2005–10 – თსუ-ის, 2010- იდან კი სტუ-ის პროფესორია. ხელი აქვს მოწერილი საქართველო. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991) და საქართველო. კონსტიტუციაზე (1995).

კ. სამეცნი. ნაშრომების ავტორია, მ. შ. 9 მონოგრაფიისა და 6 სახელმძღვანელოსი. მისი სამეცნი. ნაშრომები ეხება აგროსასურსათო და მიწის პოლიტიკის პრობლემებს.

კ. აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში აგრ. (მიწის) რეფორმის განხორციელებაში, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების, სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში, ასევე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონ. განვითარების ანტიკრიზისული პროგრამების დამუშავებაში. მიღებული აქვს ა. წერეთლის სახ. პრემია (1995), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013). საქართვე. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრ. სფეროს ეკონ. დარგში (2015). არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

თბზ.: აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები, თბ., 1998; საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები, თბ., 2004; ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით, თბ., 2013; საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზი, თბ., 2017; მიწის მმართველობა, თბ., 2018.

ლ. აბრამიშვილი
